პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 1 ივლისი, 1942 წ. № 153 (6469). ფასი 15 კაპ.

## რევოლუციური სიფხიზლე გამარჯვების პირობაა

სამამულო ომის მეორე წელი სსრ კავშირისა და ჰიტლერული გერმანიის ძალთა სხვა შეფარდების პირობებში, სხვა საერთაშორისო ვითარებაში დაიწყო, ვიდრე ერთი წლის წინათ იყო. წითელი არმია ბევრად უფრო ძლიერი გახდა, უკეთ შეიარაღებულია, მან ბრძოლის გამოცდილება შეიძინა, ბრძოლაში გამოიწრთო, მტრისადმი ნამდვილი სიძულვილი ისწავლა, გააქარწყლა მითი გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ. 28 დემოკრატიული სახელმწიფოს მძლავრმა ანტიჰიტლერულმა კოალიციამ, რომელსაც სათავეში უდგანან სსრ კავშირი, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები და რომელიც ომის ერთი წლის მანძილზე შეიქმნა, ჩაფუშა ფაშისტ არამზადათა ყველა პოლიტიკური ვარაუდი—მოეხდინათ სსრ კავშირის იზოლაცია.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის ერთი წლის მანძილზე ჰიტლერის არმიამ დაჰკარგა 10 მილიონამდე კაცი მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით და უამრავი სამხედრო ტექნიკა. მისი ადამიანთა, ნედლეულისა და სურსათის რეზერვები გაცილებით უფრო სუსტი გახდა. გაიზარდა გერმანელების და მათი დამქაშების მიერ ოკუპირებული ევროპის ქვეყნების მოსახლეობის სიძულვილი და [...]

ფრონტზე მყოფი წითელარმიელი სიცოცხლეს სწირავს და ყოველ მტკაველ მიწას იცავს. ამ მრისხანე ჟამს ზურგში ყველა უნდა იყოს ასეთი წითელარმიელი თავის პოსტზე, ვინაიდან იგი იცავს საბჭოთა მიწა-წყალს, ქარხნებს, ფაბრიკებს, რკინიგზებსა და წყლის გზებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებს, პირუტყვსა და ნათესებს, აეროდრომებს, ყაზარმებს, საწყობებს, დაჭრილ, ავადმყოფ და განკურნების გზაზე დამდგარ წითელარმიელებს. დაე ყველამ შეამოწმოს თავისი თავი: სწორედ ასრულებს თუ არა თავის მოვალეობას, როგორც სამშობლოს დამცველი. დაე ყველამ შეამოწმოს თავისი თავი: ხომ არ იჩენს გულდამშვიდებულობასა და უდარდელობას, რის წინააღმდეგაც ჩვენ ყველანი გაგვაფრთხილა ამხანაგმა სტალინმა.

სამწუხაროდ, ხდება ხოლმე, რომ ზოგ ადამიანს ავიწყდება სერიოზული საფრთხის არსებობა; მათ ავიწყდებათ, რომ ჩვენ ომი გვაქვს გაიძვერა, ვერაგ, უაღრესად საშიშ მტერთან, რომელიც არავითარ სისაზიზღრესა და ბოროტმოქმედებას არ ერიდება. ამ ვერაგ და საშიშ მტერს ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ გაძლიერებული, შეუნელებელი რევოლუციური სიფხიზლე. ყველა პარტიული და საბჭოთა [...]

[...]

ფხიზლად იყავით! სადარაჯოზე მდგომი გუშაგი მტერს არ გაუშვებს.

[...] სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს! სიკვდილი მათ აგენტებსა და თანამონაწილეებს!

უფრო და უფრო გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე. ჩვენი ბასრი იარაღი მტერთან ბრძოლაში!

„პრავდის“ მოწინავე, 30/VI.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
### 30 ივნისის დილის ცნობა

29 ივნისის ღამის განმავლობაში კურსკისა და სევასტოპოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ.

ფრონტის სხვა უბნებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

კურსკის მიმართულების ერთ-ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარი იერიშზე გადმოვიდა ტანკების დახმარებით. ჩვენმა მებრძოლებმა ამხ. მიშჩენკოს მეთაურობით ცეცხლითი საარტილერიო თავდასხმით დააზიანეს გერმანელთა 15 ტანკი, ხოლო შემდეგ ხელჩართული შეტაკების დროს 500 ჰიტლერელი დახოცეს. სხვა უბანზე გააფთრებულ ბრძოლაში მოწინააღმდეგემ 2.500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა სახით. [...]

საცეცხლე წერტი, ააფეთქეს მტრის საწყობი სამხედრო მასალით.

* * *

მტერი თავს დაესხა ჩვენს საბრძოლო დაცვას, რომელიც გერმანელთა 3 დაზიანებულ ტანკში იმყოფებოდა. 9 წითელარმიელმა თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოსპო 90 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მათ მოუსწრო და დაეხმარა მებრძოლთა ასეული, რომელმაც თავდაპირველ პოზიციებზე გადარეკა გერმანელები.

* * *

ვიტებსკელ პარტიზანთა რაზმი ამხ. კ-ს ხელმძღვანელობით თავს დაესხა გერმანელთა ქვეგანაყოფს და მოსპო 150 ოკუპანტი. პარტიზანთა ჯგუფმა ამხ. შ-ს მეთაურობით [...]

[...]

## სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა 30 ივნისს ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთ.

ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ ამხ. მ. ი. კალინინმა დაჯილდოებულთ მიმართა მოკლე სიტყვით.

— თანამედროვე ომი,—ამბობს ამხ. კალინინი,—მოითხოვს განსაკუთრებულ სიმტკიცეს, მამაცობას, დიდ სამხედრო ცოდნას და, დასასრულ, ფართო ჰორიზონტს იმ პირებისაგან, რომლე[...]

[...] ნაშე სახავს ამოცანას — მიაღწიოს იმას, რომ 1942 წელი [...] ფაშისტთა ჯარების საბოლოო განადგურებისა და [...] საგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების წელი გახდეს, საერთოსაჯარისნო მეთაურთა წინაშე პირდაპირ სახავს ამოცანას—ზედმიწევნით შეისწავლონ სხვადასხვა გვარეობის ჯარების თანამოქმედების საქმე, გახდნენ ჯარების გაძღოლის საქმის ოსტატნი.

ამხანაგ სტალინის ამ მითითებას [...]

[...]

## სევასტოპოლის მამაცი დამცველები

[...] პოლის მამაცი დამცველები“ მოთავსებულია კულდაევის კორესპონდენცია, რომელშიც ვკითხულობთ:

სევასტოპოლის გმირი დამცველები არ ივიწყებენ თავისი ქალაქის ისტორიულ ტრადიციებს. ისინი უშიშარნი არიან ბრძოლაში და შეუპოვარნი სასიკვდილო საფრთხის დროს. სევასტოპოლი ყოველდღე შობს გმირებს, რომლებიც სიმამაცის სასწაულებს ახდენენ. ერთ-ერთი მათგანია უმცროსი პოლიტხელი მიხეილ ლევანის-ძე გახონიძე, რომელსაც 20 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ამას წინათ ერთ-ერთი ბრძოლის დროს ფაშისტები შეიჭრნენ ჩვენი თავდაცვის წინა კიდის სანგრებში. მდგომარეობა თითქოს ისეთი იყო, რომ მტრის მხეცური სწრაფვა საბოლოოდ [...]

[...] ლებიც აქ რამდენიმე დღის განმავლობაში იგერიებდნენ მოწინააღმდეგის გააფთრებულ იერიშებს. მაშინ გახონიძე შეძახილით: „სამშობლოსათვის! სტალინისათვის!“ ეკვეთა მტერს და თან გაიყოლია მებრძოლები, რომლებმაც ხანმოკლე ხელჩართულ ბრძოლაში ცოცხალი არ გაუშვეს არცერთი ფაშისტი, ბრძოლის ველზე მტრის 100-ზე მეტი გვამი დარჩა. სანგრები გაწმენდილ იქნა გერმანელებისაგან. „დაჭრილი მხეცი ერთისამად უფრო საშიშია,—უთხრა გახონიძემ მებრძოლებს.—ახლა იგი კვლავ დაგვესხმის თავს“. მართლაც, გერმანელებმა სამჯერ კიდევ მოიტანეს იერიში, მაგრამ გახონიძემ და მისმა მებრძოლებმა ისინი სამჯერვე უკუაქციეს. პოზიციები ჩვენს ხელში დარჩა.

ვ. ყარა-მურზა

## საბჭოთა კავშირის გმირის მ. გახონიძის გმირობა

საკავშირო რადიოკომიტეტის სპეციალური კორესპონდენტი სევასტოპოლიდან ტელეგრაფით იტყობინება: გრიალებენ ქვემეხები, გამაყრუებლად ღმუიან ნაღმები, გამალებით კაკანებენ ტყვიამფრქვევები, ჭახჭახებენ ავტომატები, შორიდან მოისმის საარტილერიო ყუმბარების აფეთქების ხმა. ღამ-ღამობით ცას სერავს მოტრასირე ტყვიების პუნქტირი. გუგუნებენ ჩვენი ბომბდამშენები, მოიერიშე თვითმფრინავები. ისინი დაფრინავენ სევასტოპოლის ყურეების მიყუჩებულ წყლებზე, თავს დასტრიალებენ გერმანელებს, ანადგურებენ მათ სატანკო კოლონებს, თავმოყრილ ჯარებს, ბლინდაჟებს, ბატარიებს. წინა კიდისაკენ მიმავალ გზებზე მიდიან „ემ“-ები, ქშინავენ სატვირთო ავტომანქანები, მოძრაობენ ნაწილების შესავსებად მიმავალი მებრძოლები. აი წინა ხაზი. არა სჩანან მებრძოლები, არა სჩანან ქვემეხები და ტყვიამფრქვევები — ყველაფერი ღრმად არის ჩამალული მიწაში, უფრო სწორად რომ ვთქვათ—ქვებში. ცეცხლი რომ იელვებს ხოლმე, მხოლოდ იმით შეიძლება გავიგოთ, რომ აქ ტყვიამფრქვევია ჩამალული. აი იქ გავარვარებულ ფოლადს ისვრის ავტომატური საზენიტო ქვემეხი. არ მოისმის ადამიანთა ხმა. ისინი მდუმარედ აკეთებენ თავის საქმეს.

ერთ-ერთ ასეთ დღეს ჩაიდინა თავისი საგმირო საქმე უმცროსმა პოლიტხელმა, საბჭოთა კავშირის გმირმა მიხეილ გახონიძემ. ამ უბანზე ჩვენი მებრძოლები ოთხი დღის განმავლობაში იგერიებდნენ ფაშისტთა იერიშებს. წინადღით უთანასწორო ბრძოლაში გახონიძის ქვეგანაყოფმა ოთხი გააფთრებული იერიში მოიგერია. მტერმა მაშინ მოკლულთა და დაჭრილთა სახით 800 კაცი დაჰკარგა, მაგრამ მძიმე მდგომარეობაში ჩადგა ერთ-ერთი ჩვენი ოცეული. იგი გამოდევნილ იქნა სანგრებიდან და მის წინააღმდეგ გერმანელთა მთელი ბატალიონი მოდიოდა. გახონიძემ ყურადღება არ მიაქცია მტრის რიცხვობრივ სიჭარბეს, და შეძახილით: „სამშობლოსათვის! სტალინისათვის“—ეკვეთა ფაშისტებს. მასთან ერთად იყვნენ წითელარმიელები პეტროვი, ჯამბაევი, ფომინი. პოლიტხელი შეიჭრა სანგრებში, ისროლა 2 ტანკსაწინააღმდეგო გრანატი, ხიშტით დახოცა 3 ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი, ხელთ იგდო მტრის ხელის ტყვიამფრქვევი, რომლითაც მიბრჯნით დაუწყო ხოცვა ფაშისტებს. გახონიძემ და სამმა მებრძოლმა 70 ფაშისტი გაჟლიტეს. აქედან პოლიტხელმა 30 კაცი მოჰკლა.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

## წითელფლოტელთა გმირობა

გასული კვირის განმავლობაში სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურებმა, პოლიტმუშაკებმა და წითელფლოტელებმა კვლავ გაადიდეს თავიანთი საბრძოლო სათვალავი. დღისით და ღამით იგერიებენ გერმანელთა და რუმინელთა გააფთრებულ იერიშებს ლეგენდარული სევასტოპოლის გმირი დამცველები. ფაშისტებმა, რომლებიც ცდილობენ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, აიღონ ქალაქი, ივნისის შემოტევის განმავლობაში დაჰკარგეს 50 ათასზე მეტი კაცი მოკლულთა და დაჭრილთა სახით, 200-მდე ტანკი, რამდენიმე ასეული თვითმფრინავი, დახარჯეს 50 ეშელონზე მეტი ავიაბომბები. განადგურებულია გერმანელთა 22-ე, 50-ე, 132-ე და 72-ე ქვეითი დივიზიები. უდიდესი ზარალი მოუვიდათ გერმანელთა 24-ე და 170-ე ქვეითი დივიზიებს და რუმინელთა მე-4 სამთო-მსროლელ დივიზიას. მაგრამ ჰიტლერელებმა მაინც ვერ გატეხეს შავზღვეთა და ზღვისპირელთა წინააღმდეგობა. სევასტოპოლის მისადგომებზე წარმოებული ბრძოლების ყოველი საათი ახალ-ახალ გმირებს წარმოშობს. საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილის იმ ქვეგანაყოფის მებრძოლებმა, სადაც მეთაურად არის ამხ. პოტაპოვი, ერთი დღის განმავლობაში მოიგერიეს მტრის 18 იერიში, მოსპეს 2 ტანკი, 10 ავტომანქანა, საწვავიანი ცისტერნი, გაანადგურეს 2 ბატარია და გაჟლიტეს 350 ჰიტლერელი.

განსაკუთრებით მედგრად იბრძვიან საზღვაო ქვეითი ჯარის იმ ქვეგანაყოფის წითელფლოტელები, სადაც მეთაურად არის ამხ. ტარანოვი. შვიდი მებრძოლი პოლიტხელ ტეროტკინის მეთაურობით ორი დღე-ღამის განმავლობაში იბრძოდა რიცხვობრივად ჭარბ მტერს. გერმანელების მიერ ნატყორცნი 20 გრანატი წითელფლოტელებმა ხელით დაიჭირეს და უკანვე, ფაშისტთა თავმოყრის ადგილებში გადაისროლეს. მეკავშირე სეგედენკომ მარტო შეება გერმანელთა ტანკს და მას ცეცხლი წაუკიდა. უმცროსმა ლეიტენანტმა პავლოვსკიმ თავისი ტყვიამფრქვევის ცეცხლით მტრის ორი თვითმფრინავი დააზიანა. უკვდავი გმირობა ჩაიდინა მებრძოლმა დევიტიაროვმა. მან გრანატები შემოიკრა და შეძახილით: „სამშობლოსათვის! სევასტოპოლისათვის!“ — ეკვეთა ფაშისტთა ტანკს და ააფეთქა იგი.

უდიდეს ზარალს აყენებენ მტერს არტილერისტები. ერთი დღის განმავლობაში სევასტოპოლის თავდაცვის რაიონის არტილერიამ მოსპო და ცეცხლი წაუკიდა გერმანელთა 25 ტანკს, ჩამოაგდო მტრის 16 თვითმფრინავი და დააზიანა 3 თვითმფრინავი.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

## უზბეკეთის მშრომელების მიმოწერა სევასტოპოლის დამცველებთან

ამ დღეებში ტაშკენტში წერილი მიიღეს იმ არმიის სამხედრო საბჭოსაგან, რომელიც სევასტოპოლს იცავს.

სამხედრო საბჭო იუწყება, რომ უზბეკეთის შვილები, რომლებიც არმიის შემადგენლობაში არიან, გმირულად იქცევიან, და მადლობას უთვლის უზბეკეთის მთავრობასა და კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს და მათი სახით მთელ უზბეკ ხალხს მგზნებარე საბჭოთა პატრიოტების გამოზრდისათვის.

ამ წერილმა მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში.

ტაშკენტის ფრუნზეს რაიონის მშრომელები საპასუხო წერილში სიტყვას აძლევენ სევასტოპოლის გმირ დამცველებს, რომ უზბეკი ხალხი ყოველ ღონეს იხმარს, რათა მიაწოდოს წითელ არმიასა და ფრონტს ყველაფერი, რაც საჭიროა, ჩვენი ბელადის ამხანაგ სტალინის საბრძოლო საპირველმაისო ბრძანების შესრულებისათვის,—ფაშისტი ქვეწარმავლების სრული განადგურებისათვის 1942 წელს. (საქტასი).

## ბრძოლები კურსკის მიმართულებით

**კურსკის მიმართულება**, 30 ივნისი. (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). კურსკის მიმართულებით მოქმედი ჩვენი ჯარები განაგრძობენ მედგარ ბრძოლებს შეტევაზე გადმოსულ ჰიტლერელთა წინააღმდეგ. ბევრ ადგილას ჩვენს ქვეგანაყოფებს წარმატებით მიაქვთ კონტრიერიშები მოწინააღმდეგეზე.

მებრძოლნი ოსტატურად იყენებენ ბუნებრივ და ხელოვნურ დაბრკოლებებს და მეწყობრიდან გამოჰყავთ მოწინააღმდეგის მთელი ასეულები და ბატალიონები. ფაშისტებმა სცადეს გადმოეყვანათ მდინარეზე თავიანთი ტანკები. ჩვენმა მებრძოლებმა წინასწარ გამიზნეს გაღმა ნაპირი. ისინი გულდამშვიდებით იცდიდნენ, ვიდრე ჰიტლერელთა ტანკები გამიზნული ცეცხლის ზონაში შემოვიდოდნენ. მაშინ ამეტყველდა ქვემეხები. დაზიანებულ იქნა გერმანელთა 12 ტანკი. მტრის იერიში ჩაიშალა.

ერთმა ჩვენმა ნაწილმა, რომელიც დიდმნიშვნელოვან მაღლობს იცავს, გუშინ მოწინააღმდეგის 5 მედგარი იერიში მოიგერია. დღეს დილიდან გერმანელები კვლავ გადმოვიდნენ შეტევაზე. მებრძოლნი ახლო მანძილიდან სპობდნენ მტერს და ფაშისტთა ორი ახალი იერიში მოიგერიეს. ჰიტლერელები, რომლებსაც მძიმე ზარალი მოუვიდათ, უკუიქცნენ თავდაპირველი ზღუდისაკენ და იძულებული გახდნენ თავდაცვაზე გადასულიყვნენ.

დღეს სულ უფრო და უფრო მეტი გააფთრებით გრძელდებოდა დიდი სატანკო ბრძოლები. საბჭოთა ტანკისტები გაბედულად იჭრებიან სოლად გერმანელთა ტანკების საბრძოლო წყობილებაში. ერთ-ერთ ბრძოლაში მანქანებით იქნა მოსპობილი ჰიტლერელთა 9 ტანკი. საბჭოთა ტანკების ჯგუფმა გაჰფანტა და ნაწილობრივ გაჟლიტა გერმანელთა ბატალიონი. ტანკისტები უდანაკლისოდ დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

საბჭოთა თვითმფრინავები ხელს უწყობენ ქვეითების საბრძოლო მოქმედებას და წარმატებით ანადგურებენ მტრის მოწინავე მწკრივებსა და ტექნიკას. ფაშისტებს მძიმედ ურტყამენ მფრინავები ღამით. ისინი გერმანელებს შესაძლებლობას არ აძლევენ გადააჯგუფონ თავიანთი ძალები.

გასულ ღამეს საბჭოთა ავიაციამ ააფეთქა გერმანელთა 7 დიდი საწყობი სამხედრო მასალით.

გ. კრილოვი

## ცხენოსანთა რეიდი მტრის ზურგში

**მოქმედი არმია**, 30 ივნისი. (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ამ დღეებში ფრონტის ხაზი გადალახა 6—გვარდიის ცხენოსანთა ნაწილმა, რომელმაც რეიდი მოახდინა მტრის ზურგში. ცხენოსნებმა ძლიერ გამაგრებულ რაიონში გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა და დასავლეთისაკენ გაეშურნენ. გვარდიელებმა 300-ზე მეტი კილომეტრი გაიარეს ნახევარწრით, მოულოდნელად ჩნდებოდნენ ხან ერთ, ხან მეორე ადგილას, ათობით დასახლებული პუნქტიდან გარეკეს [...]

მაისის დამლევს ფაშისტებმა ოთხი მხრიდან შემოუტიეს გვარდიელებს. ფაშისტებმა 6—ნაწილის წინააღმდეგ გამოუშვეს ფრონტისათვის დანიშნული რეზერვები, რომლებსაც არტილერია, ტანკები და ავიაცია ჰყავდათ. მტრის განზრახვა ჩაიფუშა. გვარდიელებმა საბრძოლო წყობილება შეინარჩუნეს და ფრონტის ხაზისაკენ დაიძრნენ. მტრის ავიაცია ერთი კვირის განმავლობაში სდევნიდა ცხენოსნებს. ტყეებს, რომლებითაც ნაწილი მიდიოდა, ყოველდღე ბომბავდა ათობით [...]

[...] ფაშისტები, გერმანელთა ბევრი რეზერვის ნაწილი და ქვეგანაყოფი გაანადგურეს, კავშირი დაამყარეს პარტიზანებთან და რამდენიმე ასეული კვადრატული კილომეტრით გაათავისუფლეს მათ მიერ დაკავებული ტერიტორია.

იმ რაიონების მოსახლეობა, რომლებზეც ცხენოსნები გადიოდნენ, აღტაცებით ხვდებოდა გვარდიელებს.

[...] თვითმფრინავი. მაგრამ ოსტატურმა შენიღბვამ საშუალება მისცა ცხენოსნებს შეენარჩუნებინათ ცოცხალი ძალა და საჭურველი.

იმ რაიონებს, სადაც გვარდიელებმა გაიარეს, ახლა წარმატებით იცავენ ძალზე გადიდებული მრავალრიცხოვანი პარტიზანული რაზმები.

ვ. არეფიევი

## საბჭოთა კავშირში

### „მოსკოვის ისტორიის“ პირველი ტომი

საბჭოთა მეცნიერნი დასაბეჭდად ამზადებენ აკადემიური „მოსკოვის ისტორიის“ პირველ ტომს. წიგნში შევა ვრცელი მასალა დედაქალაქის კულტურისა და ხელოვნების, მშენებლობის, საქალაქო მეურნეობისა და არქიტექტურის განვითარების შესახებ უძველეს დროიდან პეტრე დიდის რეფორმებამდე.

მთელი ნაშრომი ნავარაუდევია გამოიცეს 4 ტომად. ნაშრომი მიეძღვნება მოსკოვის ისტორიას 1947 წლამდე, როდესაც აღინიშნული იქნება ქალაქის არსებობის 800 წლისთავი. (საქდეს).

### სამხედრო მასალას სამახსოვრო ჯერ უფრო სწრაფად ამზადებენ.

ქარხანას, სადაც დირექტორად ამხ. კუსტამოვიჩია, ერთ-ერთი უახლესი სახის სამხედრო მასალების გამოშვება დაავალეს. თითოეული მათგანის გამოშვებაზე 9,9 წუთი იხარჯებოდა. ტექნიკოსმა ნოვოკრეშჩენოვმა ძირითადად შესცვალა მათი კონსტრუქცია, და საწარმოო ციკლი 2,8 წუთამდე შემცირდა. განთავისუფლდა ათობით ჩარხი, ახალი სამხედრო მასალების გამოშვების გეგმა გადაჭარბებულია ერთი-ორად. ქარხანამ ვადამდე დაამთავრა პირველი ნახევარი წლის პროგრამა. (საქდეს).

## კოლექტიური და ინდივიდუალური ბოსტნების ნათესისა და მოსავლის დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ
### სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიიღო დადგენილება კოლექტიური და ინდივიდუალური ბოსტნების ნათესისა და მოსავლის დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

სასამართლოს ორგანოებს მითითება მიეცა, რომ დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიურ და ინდივიდუალურ სარგებლობაში გადაცემულ მიწებზე ნათესისა და მოსავლის განზრახ დაზიანება კვალიფიცირებულ უნდა იქნას რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების მიხედვით.

იმ შემთხვევებში, როდესაც ეს მოქმედება განზრახ არა ყოფილა ჩადენილი ან უმნიშვნელო ზარალი გამოიწვია, მას არ მოჰყვება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ხოლო ზარალის ანაზღაურების საკითხი შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს სამოქალაქო სამართლის წარმოების წესით. (საქდეს).

## ცნობა ბელორუსიის სახალხო პოეტ იანკა კუპალას გარდაცვალების შესახებ

ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და ბელორუსიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბელორუსიის სახალხო პოეტი, ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი იანკა კუპალა (ივანე დომინიკის-ძე ლუცევიჩი).

ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო
ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

## სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში
### ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახალხო პოეტ იანკა კუპალას დაკრძალვისა და მისი ოჯახისათვის პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახალხო პოეტ იანკა კუპალას დაკრძალვის ხარჯები გაღებულ იქნას სახელმწიფოს მიერ.

2. დაენიშნოს განსვენებულის ოჯახს მუდმივი პერსონალური პენსია: პოეტ იანკა კუპალა-ლუცევიჩის დედას—თვეში 500 მანეთი, პოეტის ცოლს, ვ. ფ. ლუცევიჩს—თვეში 500 მანეთი.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

# მივაღწიოთ ახალ-ახალ წარმატებებს ივლისში!
## მივცეთ ფრონტსა და ქვეყანას მეტი და მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია!

### ორი უბნის წარმატება

**ტყიბული,** („კომუნისტის“ კორ.). სტალინის სახელობის მაღაროს მესამე უბნის ბრიგადა (ხელმძღვანელი მედალოსანი ა. ქათამაძე), რომელიც ეჯიბრება იმავე უბნის ბრიგადას მედალოსან ობოლაძის ხელმძღვანელობით, 165 პროცენტით შესრულა ივნისის გეგმა. ამავე პერიოდში ობოლაძის ბრიგადამ თვიური დავალება 123 პროცენტით შესრულა.

მაღაროში გამოვლინებული იქნენ ახალი სტახანოველები: გ. გრიგოლია, ლეონტი და სევასტი ცირეკიძეები, ლ. ხუჯაძე, ა. პუტილინი, ა. ქასრაშვილი და ათეულობით სხვები, რომლებმაც ქვანახშირის ნგრევისა და ტვირთვის დავალებები 30 ივნისისათვის გაანაღდეს.

სტალინის სახელობის მაღაროს მუშები ყოველდღიურად აძლიერებენ ახალსანგრევის მომზადებას. მათ 29 დღის განმავლობაში სამთო მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა 102 პროცენტით შეასრულეს.

**დ. საგელაშვილი**

### ივნისის გეგმა 3 დღით ადრე შეასრულეს

**ზესტაფონი** („კომუნისტის“ კორ.). ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი იბრძვის მეტალურგთა სრულიად-საკავშირო სოცშეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. მარგანეცისა და მოლიბდენის საამქროებმა ლითონის გამოდნობის ივნისის გეგმა 27 ივნისისათვის შეასრულეს. წარმატებით მუშაობენ ჩიტორელიძის, წასიძის, სვანიძისა და დვალის მდნობელთა ბრიგადები.

ზესტაფონელმა მეტალურგებმა ივნისში ქვეყანას დამატებით მისცეს ათეულ ტონობით მაღალხარისხოვანი ლითონი.

### გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 58.000 მეტრი ქსოვილი

სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა თბილისის აბრეშუმის ფაბრიკამ ივნისის საწარმოო გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოუშვა 58.000 მეტრი ქსოვილი, სპეცდავალება შეასრულა გადაჭარბებით, შემცირა ნახვეწის რაოდენობა და დამოუკიდებელ სამუშაოზე გადაიყვანა ფაბრიკაში ახალმოსული 35 დიასახლისი.

ივნისის დღეებში საგრძნობლად დაწინაურდნენ მთელი რიგი საამქროები და კომპლექტები. სამღებრო-სააპრეტურო საამქრომ (უფროსი ინჟ. ვ. ჩიქოვანი) ივნისის გეგმა 110 პროცენტით შეასრულა, საქსოვმა საამქრომ (უფროსი ამხ. ა. მიქელაძე) — 102 პროცენტით და სხვ.

მოსამზადებელი საამქროს მხვეველი ნ. არზუმანიანი ყოველდღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებს. მქსელავი ლ. ციცქიშვილი, ოთხდაზგოსანი მქსოველი ნ. მარკოზაშვილი, ლ. აბდალაძე და დები გულნარა და ნინო მელიქაძეები—130 პროცენტით და სხვ.

### წყალტუბოელები დაწინაურდნენ ჩაის კრეფაში

**წყალტუბო** („კომუნისტის“ სპეც. კორ.). 28 ივნისისათვის წყალტუბოს რაიონის კოლმეურნე მეჩაიეებმა ვადაზე ორი დღით ადრე და გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის კრეფის ივნისის გეგმა.

ასევე წარმატებით აქვთ შესრულებული წყალტუბოს რაიონში ჩაის კრეფის აპრილ-მაისის გეგმა. მარტო ამ ორი თვის გეგმის გადაჭარბებით ჩაბარებულია 44.388 კილოგრამი ჩაი. ჩაბარებული ჩაის მთელი რაოდენობიდან პირველი ხარისხის ჩაი 90 პროცენტს უდრიდა.

რაიონის სოფლის საბჭოებს შორის ჩაის კრეფაში ყველაზე დაწინაურებულია გვიშტიბის სოფლის საბჭო (თავმჯდომარე ამხ. შ. ჩავჩიძე). მეორე ადგილზე მიდის მაღლაკის სოფლის საბჭო (თავმჯდომარე ამხ. ო. მიქაბერიძე).

კოლმეურნეობებს შორის ფართოდ არის გაშლილი შეჯიბრება ჩაის კრეფის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის და უკეთესი ხარისხობრივი მაჩვენებლების მისაღწევად. დაწესებულია რაიონული გარდამავალი დროშა და გამოყოფილია ჯილდოები ჩაის კრეფაში გამარჯვებული კოლმეურნეობებისათვის, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და სოფლის საბჭოს თავმჯდომარეებისათვის. დროშასა და ჯილდოებს გამარჯვებულებს გადასცემს სპეციალური ჟიური, რომელიც მხედველობაში მიიღებს არა მარტო გეგმების შესრულებისა და ხარისხის დაცვის მაჩვენებლებს, არამედ პლანტაციების მოვლა-პატრონობისა და დაცვის მაჩვენებლებსაც.

ჯერჯერობით რაიონული გარდამავალი დროშის მისაღებად მუშაობაში ყველაზე უკეთეს შედეგებს მიაღწია სოფ. მაღლაკის „პარიზის კომუნის“ სახელობის კოლმეურნეობამ, რომლის თავმჯდომარეც არის მედალოსანი ილია ტყეშელაშვილი. დროშის მიღების პრეტენდენტია აგრეთვე სოფ. გვიშტიბის კოლმეურნეობა „ბოლშევიკი“ (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გ. ცანავა) და სოფ. ქვილიშორის ა. წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. ა. ვარდანიძე).

რაიონული გარდამავალი დროშისა და ჯილდოების დაწესებამ დიდად შეუწყო ხელი კოლმეურნეთა მასების დაინტერესებას ჩაის პლანტაციების მოვლა-პატრონობითა და ჩაის მოსავლის დროულად აკრეფით. მთელ რაიონში გაითქვეს სახელი სტახანოველმა ჩაის მკრეფავებმა—ვერა კუჭავამ, ნადო იობიძემ, თამარ ჩხეიძემ, ანეტა გახოკიძემ, ლუბა კუჭავამ, ზინა კინწურაშვილმა, ივლიტა ათხაძემ, ქეთევან ლექვთაძემ და სხვ. თითოეული მათგანი ჩაის კრეფის დღიურ დავალებებს 200-250 პროცენტით ასრულებს.

**დ. ამირანიძე**

### მოწინავე მეაბრეშუმეები

**წყალტუბო** („კომუნისტის“ სპეც. კორ.) რაიონში გაზაფხულის გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა 29 ივნისისათვის შეასრულეს. საშუალოდ მთელ რაიონში თითო კოლოფ აბრეშუმის თესლზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 52 კილოგრამი პარკისა, მიღებულ იქნა 56,2 კილოგრამი პარკის მოსავალი.

აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავლის მიღებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი მეაბრეშუმე ქალებმა — სოფ. მაღლაკის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და ამავე დროს მეაბრეშუმემ ამხ. სონა ნიკაძემ, კოლმეურნე მეაბრეშუმეებმა ივდითი კვერნაძემ, ნინო დოლაბერიძემ, სახელოვანმა ფარცხანაყანეველმა მეაბრეშუმემ ალექსანდრა ნებიძემ, რომელმაც 35 გრამი თესლიდან 151 კილოგრამი პირველი ხარისხის პარკი მიიღო და სხვ.

კარგად მუშაობდნენ მეაბრეშუმეები—ალექსანდრა ლექვთაძე, მედალოსანი მატრონე ჯიქია, თამარ შავგულიძე, ფედოსი ჩოლოყაშვილი და სხვ.

აბრეშუმის პარკის დამზადება კვლავ გრძელდება.

### გეგმების შესრულება

ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ივნისის გეგმა 27 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით მოკრეფილია 2.200 კილოგრამი. კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს თვის ბოლომდე გეგმის ზევით კიდევ ჩააბარონ სახელმწიფოს 1.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის მდივანი **ბაბრიაძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **მაღლაკელიძე**

• • •

წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებმა 28 ივნისისათვის დაამთავრეს სიმინდის პირველი თოხნა. მეორე თოხნა ჩატარებულია 1.000 ჰექტარზე.

რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების ივნისის გეგმა 29 ივნისისათვის შეასრულა: კოლოფ თესლზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 52 კილოგრამისა მიღებულია 56 კილოგრამი. პარკის დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიკომის მდივანი **ტოგონიძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ნიჟარაძე**

## სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა ტრიბუნა

### სამუშაო დროს მაქსიმალურად ვიყენებ

14 წელი სრულდება, რაც კალინინის სახელობის თბილისის მექანიკური ქარხნის სახარატო საამქროში ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში ასამდე მოწაფეს შევასწავლე ჩემი პროფესია. მათ გავუზიარე მრავალი წლის მანძილზე შეძენილი ჩემი საწარმოო გამოცდილება. კმაყოფილი ვარ, რომ შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. ჩემი მოწაფეები ს. გალალოვი, პ. ბეზპლამენევი, გ. ნემოვი, ე. ოვანეზოვი ახლა კვალიფიციური მუშაკები არიან. ისინი სისტემატურად ორ-სამ ნორმაზე მეტს ასრულებენ. ჩემი ყოფილი მოწაფე ამხ. მ. მაჩაბელი ახლა ჩვენი საამქროს ცვლის ოსტატია.

სამამულო ომის დაწყებამდე პენსიაზე გასვლას ვაპირებდი, მაგრამ საბჭოთა კავშირზე ჰიტლერელი ავაზაკების ვერაგული თავდასხმის შემდეგ ფიქრი შემეცვალა და გადავწყვიტე ვიმუშაო ისე, როგორც არასოდეს, ჩემი დაუღალავი შრომით დავეხმარო გმირ წითელ არმიას ვერაგი მტრის — პირსისხლიანი ფაშიზმის დაჩქარებით განადგურებაში.

ამრიგად შევუდექი სომარ ყაიდაზე მუშაობას. როდესაც ჩვენი ქარხნის საყვირი გვაცნობებს სამუშაო დღის დასრულებას, მაშინ მე შევუდგები ხოლმე მეორე დღისათვის საჭირო მასალების მზადებას, ვადგენ სამუშაო გეგმას, ვსინჯავ ნახაზებს და ამის მიხედვით ვამზადებ ხელსაწყოებს. დილას სამუშაოს დაწყებამდე ადრე მოვდივარ, ვამოწმებ დაზგებს, სამუშაო ადგილს, ცვლის ოსტატებთან ერთად მუშებს ვუმზადებ მთელი დღის განმავლობაში საჭირო მასალას, რომ მუშაობის პროცესში ერთი წუთიც უქმად არ დაიკარგოს.

არის შემთხვევა, როდესაც საინსტრუმენტო საამქრო ჩვენთვის საჭირო დეტალებს დროზე არ გვაწვდის; იმისათვის, რომ მუშებმა საჭირო დეტალების მოლოდინში დრო არ დაჰკარგონ, მე თვითონ საინსტრუმენტო საამქროში სასწრაფოდ ვამზადებ დეტალებს და ამით დროზე უზრუნველვყოფ ჩემს საამქროს საჭირო მასალებით.

სამამულო ომის დღეებში მრავალი ისეთი წინადადება შევიტანე ჩვენს მუშაობაში, რამაც ქარხანაში ახალმოსულ მოწაფეებს დიდი დახმარება გაუწია პროფესიის სწრაფად ათვისების საქმეში. სამი-ოთხი თვის განმავლობაში რვა ახალგაზრდას კარგად შევასწავლე ხელობა. ახლა ისინი დამოუკიდებლად მუშაობენ და საუკეთესო ხარატებად ითვლებიან. ამხ. მ. სადაპიშვილი, ო. კისელიოვი, მ. ნემოვი და სხვები ნორმებს ორმაგად და მეტად ასრულებენ.

ჩვენმა სახარატო საამქრომ კოლექტივის ენერგიული მუშაობის შედეგად ივნისის გეგმა 120 პროცენტით შეასრულა.

თუმცა მე 60 წელს გადაცილებული ვარ, მაგრამ თავს კიდევ კარგად ვგრძნობ და მკლავში ღონეც შემწევს. ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების პასუხად კიდევ უფრო მეტს გავაკეთებ სამშობლოსათვის, ფრონტისათვის, კიდევ უფრო გავზრდი პროდუქციის გამოშვების რაოდენობას ხარისხობრივი მაჩვენებლებით, არ დავზოგავ ენერგიას ახალგაზრდა კადრების აღსაზრდელად, არც ერთ წუთს არ დავკარგავ უქმად, რათა ჩვენმა საამქრომ საკავშირო-სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შეასრულოს და გამარჯვებული გამოვიდეს.

**იაკობ სკალსკი**

კალინინის სახელობის თბილისის მექანიკური ქარხნის სახარატო საამქროს უფროსი ოსტატი.

### აღვზარდოთ წარმოებაში ახალმოსული ადამიანები

9 წელია თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ოსტატის თანამდებობაზე ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში მივიღე მუშაობის დიდი გამოცდილება, რომელსაც ყოველთვის ვუზიარებ ჩემი ცვლის ქვეოსტატებსა და ინსტრუქტორებს. თეორიული ცოდნა, რომელიც 1933 წელს მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტის დამთავრებამ მომცა, გავამდიდრე საწარმოში მუშაობისას; პრაქტიკულად ავითვისე საფეიქრო მრეწველობის ისეთი მნიშვნელოვანი პროცესები, როგორიც არის: ქსოვა, ქსელვა, მასრავა და ხვევა. ჩემს საოსტატოში თუ რომელიმე მუშას ქსელი ჩაუწყდება, ან ქსოვის დროს ნახვეწი გაეპარება, — სასწრაფოდ აღმოვუჩენ ხოლმე დახმარებას.

მუდამ მახსოვს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ: „ოსტატი სრულუფლებიანი ხელმძღვანელია წარმოების მისდამი დაკავშირებულ უბანზე და პასუხს აგებს დავალებათა შესრულებისათვის ყველა მაჩვენებლების მიხედვით“ ჩემი საოსტატო, რომელიც 251 მქსოველს, 9 ქვეოსტატს და 9 ინსტრუქტორს აერთიანებს, ერთსულოვნად ჩაება სტალინის საპირველმაისო ბრძანების საპასუხოდ გაშლილ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და აღებული ვალდებულება წარმატებით შეასრულა. ჩვენმა ცვლამ ოთხი დღით ადრე გაანაღდა თვიური საწარმოო დავალება, 27 ივნისისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 14.743 მეტრი ქსოვილი და დამოუკიდებელ სამუშაოზე გადაიყვანა 14 ახალი მუშა.

საამქროში ჩემი ამოცანა უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ საოსტატო შეუფერხებლად მუშაობდეს. მუშებს სწორად ვუნაწილებ სამუშაოს, რათა ადგილობრივი მიზეზით არცერთი წუთით არ მოცდეს დაზგა, მუშებს ყოველდღიურად ვუწევ საჭირო ინსტრუქტაჟს, ვეხმარები მათ მუშაობაში, თვალყურს ვადევნებ, რომ თითოეული ქვეოსტატი წინასწარ მომარაგებული იყოს აუცილებელი მასალით, რათა დაზგის რემონტი სწრაფად და მაღალხარისხოვნად შესრულდეს. ჩვენს ცვლაში ამხ. ნინო გულაშვილი, ა. სიამაშვილი, ა. კახიანი, ვ. ბარნაბიშვილი და სხვ. სამართლიანად ითვლებიან მოწინავე ქვეოსტატებად. ისინი, გარდა იმისა, რომ სისტემატურად ასრულებენ თავიანთი კომპლექტის გეგმებს, დახმარებას უწევენ ჩამორჩენილ ამხანაგებსაც.

ჩემი, როგორც ოსტატის, უპირველესი მოვალეობაა—აღვზარდო და ხელმძღვანელობა გავუწიო წარმოებაში ახალმოსულ ადამიანებს. ამას ვანხორციელებ. ჩემი სისტემატური დახმარებით ყოფილმა დიასახლისებმა ლ. პატრაკაძემ, ვ. ტიმოფეევამ, ე. ოსტაპოვამ და ნ. ნათაძემ ერთ თვეში კარგად შეითვისეს ქსოვის საქმე. ისინი ამჟამად ორ დაზგაზე მუშაობენ და გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

პირობას ვიძლევი არ დავკმაყოფილდე ჩემი მუშაობით და დღითიდღე ავამაღლო საამქროში ოსტატის, როგორც წარმოების ძირეული მეთაურის, ორგანიზატორისა და შეჯიბრების წინამძღოლის როლი.

**ი. ალექსიშვილი,**

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საქსოვი საამქროს ცვლის ოსტატი.

### მარგანტრესტმა გადაჭარბებით შეასრულა ივნისის გეგმა

**ჭიათურა** („კომუნისტის“ კორ.). ჭიათურის მარგანტრესტმა, რომელიც ტყიბულის ქვანახშირის ტრესტს ეჯიბრება, 29 ივნისისათვის მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების ივნისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. განსაკუთრებული წარმატებით მუშაობს პეროქსიდის გამამდიდრებელი ქარხანა, რომელსაც ინჟინერი ა. მოდებაძე ხელმძღვანელობს.

30 ივნისს მარგანტრესტმა შეასრულა აგრეთვე მარგანეცის გამოღების ივნისის დავალება.

**პ. ჭიოკაძე**

### საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია

27 ივნისს საღამოს გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების მორიგი სამეცნიერო სესია, რომელიც მიძღვნილი იყო ქართლის მცენარეული რესურსების შესწავლის საკითხისადმი სოფლის მეურნეობის განვითარების ამოცანებთან დაკავშირებით.

მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარის აკადემიკოს ა. ჯანელიძის შესავალი სიტყვის შემდეგ საინტერესო მოხსენებით—„ქართლის მცენარეთა საფარი და მისი მნიშვნელობა კულტურულ მცენარეთა დარაიონებისათვის“—გამოვიდა აკადემიკოსი ნ. კეცხოველი.

— სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 15 ოქტომბრის დადგენილება „საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ ისტორიული მნიშვნელობის დადგენილებაა, რომელმაც ძირითადად უნდა შესცვალოს ქართლის თანამედროვე იერი და დოვლათიან ბაღ-წალკოტად გადააქციოს იგი,—სთქვა აკად. კეცხოველმა.—ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ ქართლის ველური მცენარეული საფარი. იგი მთლიანად გამოყენებულ უნდა იქნას, როგორც ბუნებრივი საწარმოო ძალა და დაისახოს და გატარდეს ღონისძიებანი მისი რეკონსტრუქციისათვის.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქართლის მცენარეული საფარი მეტად მრავალფეროვანი და მრავალსახოვანია. მომხსენებელმა დაასახელა 30-მდე მსხვილი მცენარეული ტიპი, დაახასიათა ველურ მცენარეთა ცალკეული დაჯგუფებები და მოგვცა კულტურულ მცენარეთა დარაიონების სრული სურათი.

აკად. ნ. კეცხოველის აზრით, ძვირფას კულტურებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჭალისა და ტყის ზოლების გაშენებას. ეს ბაღ-ტყეების ტიპის ნარგავები ქარსაფრისა და ქარსატეხის როლს ითამაშებენ, დადებით გავლენას მოახდენენ ჰავაზე და დიდი რაოდენობით მოგვცემენ სოფლის მეურნეობაში საჭირო ხის მასალას.

მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ აკად. ა. ჯანელიძე, პროფესორები ჩოლოყაშვილი, ჩაიანოვი და სხვ., რომლებმაც აღნიშნეს აკად. ნ. კეცხოველის მოხსენების დებულებათა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ქართლის სოფლის მეურნეობის აყვავებისათვის. აღნიშნული იყო აგრეთვე მცენარეთა დარაიონების სწორი მეთოდოლოგია და მომხსენებლის მიერ ქართლის ველურ მცენარეთა შესწავლის საქმეში გაწეული დიდი მუშაობა.

სხდომის დასასრულს პროფ. დ. სოსნოვსკიმ გააკეთა მოხსენება თემაზე: „ქართლის ბუნებრივი მცენარეული რესურსები“.

მოხსენებაში ამომწურავად იყო ნაჩვენები ქართლის ბუნებრივი მცენარეულის რესურსები და მათი გამოყენება.

29 ივნისის დილის სხდომაზე პირველი მოხსენებით—„ქართლში გავრცელებული ზოგიერთი ველური ხეხილი“—გამოვიდა ბოტანიკური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ქალი შ. ქუთათელაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ბოტანიკის ინსტიტუტის სისტემატიკის განყოფილებისა და სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ბოტანიკური კათედრის მიერ ქართლის ველური ხეხილის შესწავლა დაწყებულია 1937 წლიდან. გამოკვლეულია რამდენიმე რაიონი, გამოვლინებულია ველური ხეხილის მასივები. აღწერილია რამდენიმე ახალი სახეობა და სახესხვაობა, რომელთაც მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

ბოტანიკური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ლ. ყანჩაველის მოხსენების თემა იყო: „ქართლში გავრცელებული ხეხილის ავადმყოფობათა მიმოხილვა“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქართლის ხეხილის ავადმყოფობათა შესწავლა აქამდე სათანადო დონეზე არ იყო დაყენებული. არსებული ცნობები ხეხილის ავადმყოფობათა შესახებ, გარდა ნაყოფის დაავადებისა საწყობის პირობებში, სისტემატური შესწავლის შედეგი არ არის და ზოგ შემთხვევაში ცალმხრივსა და შემთხვევით ხასიათს ატარებს, ამიტომ აუცილებლად საჭიროა აღნიშნულ დარგს სათანადო ყურადღება მიექცეს.

29 ივნისის საღამოს სხდომაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ბოტანიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლები ა. მაყაშვილი და ი. თუმაჯანოვი. პირველის მოხსენების თემა იყო: „ახალი ცნობები ქართლის ფლორის შესახებ“, მეორისა—„ქართლის ფიჭვნარები და მათი სამეცნიერო მნიშვნელობა“.

30 ივნისს საბოლოო სხდომაზე სესიამ მოისმინა ორი მოხსენება: პროფ. ვ. გულისაშვილი—„მთის ქვედა ზონის ტყის ნიადაგების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებათა ცვალება სტეპის მცენარეულობის ზეგავლენით აღმოსავლეთ საქართველოში“; ბოტანიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ვლ. მენაბდე—„ქართლის ხორბლები“.

ამხ ვლ. მენაბდემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ქართლი მიწათმოქმედების უძველესი კერა ყოფილა. ქართლის ნათესებში დღემდე აღწერილია ხორბლის 10 სახე და 62 სახესხვაობა.

აკადემიკოს ა. ჯანელიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ სესიამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

### პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომი აცხადებს, რომ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 2167482, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მიერ ანა ნიკოლოზის ასულ შაქიაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

### თეატრებსა და დასასვენებელ პარკებში

**სახოპერა** — 1 ივლისს — „ბოშათა ბარონი“, 2 ივლისს — „აიდა“. **რუსთაველის სახელობის** — 1 ივლისს — „ფლანდრია“, 2 ივლისს — „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 2, 3 და 4 ივლისს — „ინჟინერი სერგეევი“ (პრემიერა). **სანკულტურის** — 2 ივლისს — „პირისპირ“, 4 ივლისს — „გაგრძელება იქნება“. **მუსიკალური კომედიის** — 1 ივლისს — „სილვა“, 2 ივლისს — „ნატვრის თვალი“. **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — ყოველდღე გამოფენა, მიძღვნილი დიდი სამამულო ომისადმი, საპარაშუტო კოშკი, ტირი, ბილიარდი, საჰაერო ატრაქციონი „მკვდარი მარყუჟი“, ცეკვა, ჯაზი, სასულე ორკესტრი, კინო „მეზღვაურები“, საბავშვო რკინიგზა და სხვ. **საქ. სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო ბაღი** — 1 ივლისს — ბაღის გახსნა. **ღია ესტრადა.** თბილისის და მოსკოვის ესტრადის საუკეთესო ოსტატები. ბაღში ორკესტრი.

### გროსმაისტერი სალო ფლორი ქუთაისში

**ქუთაისი** („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი ჭადრაკში, გროსმაისტერი სალო ფლორი რამდენიმე დღეა ქუთაისში ჩამოვიდა და ქალაქის მოჭადრაკეთა აქტივისათვის ატარებს ლექციებსა და ერთდროული თამაშის სეანსებს. 24 ივნისს ფლორმა ქალაქის მოჭადრაკეთა აქტივისათვის წაიკითხა ლექცია თემაზე: „ბრძოლა მსოფლიო პირველობისათვის ჭადრაკში“, რის შემდეგ ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი 37 დაფაზე. გროსმაისტერს მოუგეს ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა მაჭავარიანმა და ჩხიკვაძემ. ყაიმით დაამთავრეს ტერ-აბრამოვმა, ფორჩხიძემ და ლომთაძემ. დანარჩენ 32 დაფაზე გაიმარჯვა გროსმაისტერმა.

**რ. კინწურაშვილი**

### დღეს კინოებში

**რუსთაველის სახ. და კომკავშირელი** — „საბრძოლო კინოკრებული № 9“, ოქტომბერი — „ალექსანდრე ნეველი“, დამკვრელი (ვაშლის) — „ვაჟკაცობა“, დამკვრელი (საზაფხულო) — „ტრაქტორისტები“, სპარტაკი — „მეორე“, ლუქსემბურგის სახ. — „სიმღერა სიყვარულზე“, კომინტერნი — „მეგობრები ხელმეორედ ხვდებიან ერთმანეთს“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**

## ანკარის ავტორიტეტული წრეები უარყოფენ

**ნიუ-იორკი,** 29 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, ავტორიტეტულ წრეებში უარყოფენ ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა ბომბდამშენები თურქეთში დაეშვნენ.

### მერსა-მატრუხის ევაკუაცია

**ლონდონი,** 29 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კაიროელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისის ჯარებმა მერსა-მატრუხის ევაკუაცია მოახდინეს.

### ჰიტლერელი გენერალი იძულებულია სიმართლე აღიაროს

**სტოკჰოლმი,** 30 ივნისი (საკდესი). ამ დღეებში გერმანულმა ფაშისტურმა გაზეთმა „ჰამბურგერ ფრემდენბლატმა“ გამოაქვეყნა გენერალ-ლეიტენანტ ტიშოვიცის სტატია. ჰიტლერელი გენერალი, რომელმაც თავის თავზე განიცადა წითელი არმიის ძალა და ძლიერება, იძულებულია აღიაროს, რომ ბელგიის, ჰოლანდიის, საფრანგეთისა და ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანელი დამპყრობნი „საზღვრისპირა ბრძოლებშივე არაჩვეულებრივად მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. საბჭოთა ჯარისკაცები უმაგალითო მამაცობით იბრძვიან. როცა მდგომარეობა უიმედოა, ისინი ამჯობინებენ თავიანთი თავი აიფეთქონ სიმაგრესთან ერთად, ვიდრე დაგვნებდნენ. საბჭოთა უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობაც მის წინაშე დასახული ამოცანების სიმაღლეზე აღმოჩნდა მთელი კამპანიის განმავლობაში“.

ტიშოვიცი უდიდესი შიშით იგონებს წითელი არმიის ზამთრის ოპერაციებს, რომლებიც ჰიტლერელ ბანდიტებს უდიდეს ზარალად დაუჯდათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. „ზამთარში, — სწერს იგი, — ჩვენ დონეცზე ვიდექით, ხარკოვის სამხრეთით. ჩვენი სიძნელეები უკიდურეს ზომას აღწევდა. მე,—აცხადებს ავტორი, — ვიბრძოდი ვერდენთან, სომაზე, ფლანდრიაში. ყველაფერი ეს ნულია იმასთან შედარებით, რაც ყოველ ჩვენგანს მოეთხოვებოდა აღმოსავლეთში“.

ჰიტლერელი გენერალი იძულებულია აგრეთვე აღიაროს საბჭოთა პარტიზანების მამაცობა. „პარტიზანებმა, — სწერს იგი,—იციან, რომ დაჭერისას მათ დახვრეტა მოელით, მაგრამ ამას გულგრილად ეკიდებიან. როცა გერმანელმა ჯარისკაცებმა ერთი ახალგაზრდა ქალი დასახვრეტად გაიყვანეს, — ცინიკური გულახდილობით ასწერს გენერალი იმ მხეცობას, რასაც ჰიტლერელები სჩადიან საბჭოთა ადამიანების მიმართ,—მას სიმტკიცე არ დაუკარგავს, გულზე ხელს იდებდა და უჩვენებდა, სად უნდა დაემიზნებინათ“.

### კანადის ავიაციის გაძლიერება ინგლისში

**ლონდონი,** 30 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, კანადის საზღვარგარეთის სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდალმა. ავიაციის ვიცე-მარშალმა ჰაროლდ ედვარდსმა ლონდონში განაცხადა, რომ მფრინავთა კადრების მომზადების საკითხისადმი მიძღვნილი ამასწინანდელი კონფერენციის შედეგად კანადის ესკადრილიები ინგლისში 50 პროცენტით გადიდდება. შეიქმნება ბომბდამშენი და გამანადგურებელი ავიაციის ბაზები, რომელთა მფრინავების შემადგენლობა და სახმელეთო პერსონალი მხოლოდ-მხოლოდ კანადელებისაგან იქნება შედგენილი.

### ინგლისელთა მიერ ემდენის დაბომბვის შედეგები

**ნიუ-იორკი,** 30 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ანკარელი კორესპონდენტი იუწყება, გერმანიიდან ჩასული პირნი აცხადებენ, რომ ინგლისელთა მიერ ემდენის დაბომბვის შედეგად მოსპობილია თითქმის ყველა შენობა. ნავსადგურის ნაგებობანი და საწარმონი ნანგრევებად არის ქცეული.

### ინგლისის ავიაციის ახალი თავდასხმა ბრემენზე

**ლონდონი,** 30 ივნისი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, 29 ივნისს ღამით ინგლისის ბომბდამშენთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიას. თავდასხმის ძირითადი ობიექტი—ბრემენი კვლავ გაათმაგებით იქნა დაბომბილი. თავს დაესხნენ აგრეთვე მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ რკინიგზის ობიექტებსა და აეროდრომებს.

29 ივნისს დღისით „ბოსტონ“ ბომბდამშენებმა ავიაგამანადგურებელთა მრავალი ესკადრილიის თანხლებით დაბომბეს რკინიგზის კვანძი აზბრუკში.

ყველა ამ ოპერაციიდან თავიანთ ბაზებში არ დაბრუნებულა 14 თვითმფრინავი.

### საომარი მოქმედება ეგვიპტეში

**ლონდონი,** 30 ივნისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ გააფთრებული ბრძოლა გრძელდებოდა მტერთან ვეებერთელა სივრცეზე, რაც რამდენიმე ასეულ კვადრატულ მილზეა გადაჭიმული მერსა-მატრუხსა და ფუკას შორის. 28 ივნისს იმპერიის ძალები მოწინააღმდეგის დიდ ჯავშანსატანკო ნაწილთან ბრძოლაში ჩაებნენ ფუკას დასავლეთით.

მოკავშირეთა ავიაციამ კვლავ განუწყვეტლივ მიაქვს იერიშები მოწინააღმდეგის სახმელეთო ძალებზე. 28 და 29 ივნისს ღამით ინტენსიური თავდასხმები მოეწყო მერსა-მატრუხის დასავლეთით მდებარე რაიონზე; ამ თავდასხმაში მონაწილეობა მიიღეს ინგლისისა და ამერიკის ბომბდამშენებმა. ბევრგან ხანძარი გაჩნდა; მოწინააღმდეგის მექანიზებულ საშუალებებსა და თვითმფრინავებს პირდაპირ მოხვდა ბომბები. ტობრუკის ნავსადგურში ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა; ბომბი პირდაპირ მოხვდა ნავსადგურში მდგომ ერთ-ერთ გემს.

1-დან 29 ივნისამდე დაწავლეთ უდაბნოში მოსპობილია მოწინააღმდეგის 96 თვითმფრინავი, მათგან 32 მოპიკირე ბომბდამშენი.

29 ივნისს ღამით ალექსანდრიაზე საჰაერო თავდასხმის დროს მოკლულია 12 კაცი და დაჭრილია 14.

### ანტიფაშისტური გამოსვლები შვეციაში

**სტოკჰოლმი,** 30 ივნისი (საკდესი). ამ დღეებში ქალაქ რეტვიკში ანტიფაშისტური დემონსტრაცია მოხდა. ქალაქის მოსახლეობამ ჩაფუშა შვედი ფაშისტების ცდა მოეწყოთ მიტინგი. ანტიფაშისტები სწვავდნენ ფაშისტურ გაზეთებს და ნაციონალური ჰიმნის სიმღერით აყრუებდნენ ფაშისტი ორატორების ლაპარაკს.

### ამერიკის განცხადება მიდუეის კუნძულთან იაპონიის ფლოტის ზარალის შესახებ

**ნიუ-იორკი,** 30 ივნისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ფლოტის სარდლობის განცხადებაში ნათქვამია, რომ ყველა მიღებული მოხსენების ანალიზი ახლა საშუალებას იძლევა უფრო სრული ცნობები გამოქვეყნდეს მიდუეის კუნძულის მახლობლად მომხდარ ბრძოლაში იაპონელთა ზარალის შესახებ. იაპონიის ფლოტმა დაჰკარგა 4 ავიანოსი, რომლებიც ჩაძირულ იქნა ყველა თვითმფრინავიანად, რომელთა რაოდენობა 275-მდე მანქანას აღწევდა, და თვითმფრინავთა ყველა ეკიპაჟიანად. დაზიანებულია 2 და, შესაძლოა, 3 სახაზო გემი, ამასთან ერთი სახაზო გემი მძიმედ დაზიანდა. ჩაძირულია 2 მძიმე კრეისერი. დაზიანებულია კიდევ 3 (შესაძლოა მეტიც) მძიმე კრეისერი და ერთი მსუბუქი კრეისერი. ჩაძირულია 3, ხოლო შესაძლოა 4 საესკადრო ნაღმოსანი. ბომბები და ტორპედები მოხვდა 4 ტრანსპორტს ან სატვირთო გემს, რომელთაგანაც ერთი უდავოდ ჩაძირულია.

### გერმანიაში სამუშაოდ ნებაყოფლობით მიმავალ ფრანგთა შავი სიები

**ნიუ-იორკი,** 30 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ვიშიდან გადმოგვცემს, პარიზის გაზეთები იუწყებიან, რომ პარიზის ზოგიერთ მუშათა კავშირს და საწარმოს შავ სიებში შეაქვს ყველა მუშა, რომელიც ნებაყოფლობით მიდის ჰიტლერულ გერმანიაში გერმანიის საწარმოებში სამუშაოდ.

### პარტიზანული ბრძოლა ფილიპინებზე

**ვაშინგტონი,** 30 ივნისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, იაპონელებმა ამერიკისა და ფილიპინების ჯარების იმ ნაწილს, რომელიც კიდევ განაგრძობს წინააღმდეგობას, მანილის რადიოს საშუალებით წინადადებით მიმართეს დანებდნენ. იაპონელებმა განაცხადეს, რომ თუ ეს ჯარები განსაზღვრული ვადისათვის დანებდებიან, მათ ისე მოეპყრობიან, როგორც სამხედრო ტყვეებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ომიანობის დროის კანონების მიხედვით დაისჯებიანო.

### მექსიკის დესპანი ვიშიდან გაიწვიეს

**ნიუ-იორკი,** 30 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, მექსიკის მთავრობამ გაიწვია თავისი ვიშელი დესპანი აგილარი. როგორც ოფიციალურად აცხადებენ, სამაგიერო დესპანის დანიშვნა მოსალოდნელი არ არის.


**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1942 წელში შემდეგ ფაკულტეტებზე:**

1. სანიტარულ-ჰიგიენურზე.
2. პედიატრიულზე და
3. სამკურნალოზე (ქართულ და რუსულ ენებზე სწავლებით).

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე. შემომსვლელმა უნდა მოიხსენიოს ფაკულტეტი და სექტორი.

განცხადებების მიღება სწარმოებს ა. წ. 10 ივნისიდან 31 ივლისამდე.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას:

1. საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა—ატესტატი (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. სამი ფოტოსურათი (შემოწმებული), 4. მეტრიკული ამონაწერი, 5. სამხედრო ვალდებულების ცნობა (ვალდებულთათვის) და 6. პასპორტი (წარმოიდგინება პირადად).

133 **დირექცია.**

**თბილისის სამედიცინო დების № 1 სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1942-43 სასწავლო წლისათვის ქართულ სექტორზე.**

სკოლა ამზადებს სამედიცინო დებს. სკოლაში უგამოცდოდ მიიღებიან ქალები 15-დან 35 წლამდე, რომელთაც მიღებული აქვთ განათლება არა ნაკლებ არასრული საშუალო სკოლის 7 კლასისა, აგრეთვე სრული საშუალო სკოლის, ტექნიკუმის და მუშფაკის სრული კურსი. ფრიადოსნებს ენიშნებათ სტიპენდია.

განცხადებების მიღება სწარმოებს 1 ივნისიდან 29 აგვისტომდე საღამოს 6 საათიდან.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: მოწმობა განათლების შესახებ, მეტრიკული ამონაწერი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და 2 შემოწმებული ფოტოსურათი.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

**მისამართი:** თბილისი, 26 კომ. სახ. რაიონი გურჯაანის ქ. № 22 (87 სკოლის შენობა).

147 **სკოლის დირექცია.**

**თბილისის მესამე საფერშლო სკოლა 1942-43 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოწაფეთა მიღებას ქართულ და რუსულ სექტორებზე. სკოლა ამზადებს ექიმის თანაშემწეებს ფერშლის წოდების მინიჭებით.**

სწავლის ხანგრძლივობა სამი წელიწადი. მეცადინეობა იწარმოებს საღამოობით.

ფრიადოსნები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, ხოლო საერთო საცხოვრებლით—შესაძლებლობის ფარგლებში.

სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 15-დან 35 წლამდე, რომელთაც მიღებული აქვთ განათლება არანაკლებ არასრული საშუალო სკოლისა, აგრეთვე საშუალო სკოლის, ტექნიკუმისა და მუშფაკის კურსდამთავრებულნი.

განცხადებების მიღება სწარმოებს 15 ივნისიდან 20 აგვისტომდე საღამოს 6-დან 10 საათამდე.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას: განათლების მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ორი შემოწმებული ფოტოსურათი და პასპორტი (პირადად).

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

თბილისი: პეტრიაშვილის ქ. № 3, მესამე საფერშლო სკოლა, მე-15 საშუალო სკოლის შენობა, ტელეფონი 3-51-47.

122 **დირექცია.**

თბილისის საფეიქრო სასწავლო კომბინატის ადმინისტრატიული და ტექნიკურ-პედაგოგიური პერსონალი იუწყება სასწავლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსის ამხ. გრიგოლ ბაქრაძის შვილის პატარა

**ნანული ბაქრაძის**

გარდაცვალებას. 813

„ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის თანამშრომლები იუწყებიან ამავე ტრესტის თანამშრომლის

**გიორგი ალექსანდრეს-ძე ლეკვიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ტყიბულში. 814

საქ. კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომი იუწყება რაიკომის მდივნის კადრების დარგში

**ექვთიმე კონსტანტინეს-ძე ნადარაიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2/VII სოფ. დიდჭყონში (გეგეჭკორის რ.).

მასწავლებელთა კავშირის ქ. ქუთაისის საქალაქო კომიტეტი იუწყება ქ. ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლის მასწავლებელ

**ნიკოლოზ (კოლია) ბარსევანის-ძე კენჭაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2/VII, 6 ს. ქუთაისში, გამოსვენება კიროვის ქ. № 21. 812


ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 5961